2019/2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში პარტნიორი იაშის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სტაჟირების პროგრამის სტიპენდიის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის საფეხურის სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში სასწავლო სტიპენდიბის კანდიდატების შერჩევა 2019/2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატები და სტიპენდიატები

კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე (outgoingmobility@tsu.ge). სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა

კანდიდატების შერჩევა ხორციელდება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების გამოყენებით თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე.

4. შეფასების კრიტერიუმები

- აკადემიური მოსწრება (0-5)
- მოტივაცია (0-3)
- ენის ცოდნის დონე (0-2)

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.